

2022 - SARAS - ღონისძიება ქართული აუდიტორიისთვის

თარიღი **1-ლი დეკემბერი 2022**

თემა **ბასსს და ფასს ინტერპრეტაციების კომიტეტის სიახლეების
ბიულეტენი**

საკონტაქტო პირი **ბერტრან პერინი (bperrin@ifrs.org)**

ეს დოკუმენტი მომზადდა ეროვნული სტანდარტების შემმუშავებელი ორგანოს SARAS -ის მიერ ორგანიზებულ საჯარო ღონისძიებაზე განსახილველად რომელიც. ის არ ასახავს ბასსს-ის ან მისი ინდივიდუალური წევრების მოსაზრებებს. დოკუმენტში წარმოდგენილი ნებისმიერი კომენტარი მიზნად არ ისახავს განსაზღვროს თუ რა იქნება ფასს სტანდარტების მისაღები ან მიუღებელი გამოყენება. ბასსს-ის ტექნიკური გადაწყვეტილებები საჯაროდ ქვეყნდება და მათ შესახებ აღნიშნულია ბასსს-ის ბიულეტენში.

მიმოხილვა

ეს განახლება მომზადდა 2022 წლის 31 ოქტომბრის მდგომარეობით

- მიმდინარე სამუშაო გეგმის განახლება
- მიმოხილვა: საკვლევო პროექტები
- მიმოხილვა: დანერგვის შემდგომი მიმოხილვა
- მიმოხილვა: სტანდარტის შემუშავების პროექტები
- მიმოხილვა: ტექნიკური მომსახურების პროექტები
- ახალი მოთხოვნები
- სტრატეგია და მართვა
- ფასს ინტერპრეტაციების კომიტეტის მიმდინარე გადაწყვეტილებები და სხვა სამუშაო

მიმდინარე სამუშაო გეგმის განახლება



ახლახან გამოქვეყნებული დოკუმენტები

პროექტი

გრძელვადიანი ვალდებულებები
პირობებით

ბასს 1-ის მცირემასშტაბიანი
ცვლილებები



კომენტარების
წარდგენა
21 მარტი, 2023

იჯარის ვალდებულება გაყიდვის
პროცესში და უკუიჯარა

ფასს 16- იჯარა მცირემასშტაბიანი
ცვლილებები



პროექტი
დასრულებულია

მსს ფასს სტანდარტის მიმოხილვა

განსახილველი პროექტი - მცირე
ბიზნესის ფასს აღრიცხვის
სტანდარტის მესამე გამოცემა



კომენტარების
წარდგენა
7 მარტი, 2023

დღის წესრიგთან
დაკავშირებული მესამე
კონსულტაცია

გამოხმაურება



პროექტი
დასრულებულია

მზადების პროცესში არსებული დოკუმენტები

- უკუკავშირი ფასს 9-ის დანერგვის შემდგომ მიმოხილვასთან დაკავშირებით — კლასიფიკაცია და შეფასება
- ინფორმაციის მოთხოვნა ფასს 9 -ს დანერგვის შემდგომი მიმოხილვის შესახებ — გაუფასურება
- ინფორმაციის მოთხოვნა ფასს 15 -ის დანერგვის შემდგომი მიმოხილვის შესახებ
- განსახილველი პროექტი ფასს 9-ის და ფასს 7-ის მცირემასშტაბიანი ცვლილებების შეთავაზების შესახებ
- პროექტის რეზიუმე ინფორმაციის გამჟღავნების გამიზნულ დონეზე მიმოხილვისთვის

მოსალოდნელია


დეკემბერი
2022

2023 წლის 1-
ელი ნახევარი

მიმოხილვა: საკვლევო პროექტები



მიმოხილვა: საკვლევო პროექტები



- 1 კაპიტალის მეთოდი
- 2 მომპოვებელი საქმიანობა
- 3 საწარმოთა გაერთიანება და საერთო კონტროლი
- 4 გუდვილი და გაუფასურება

წილობრივი მეთოდი

მიზანი

- შეფასება იმისა, შეიძლება თუ არა წილობრივი მეთოდის გამოყენებასთან დაკავშირებული კითხვები, რომლებიც მოცემულია ბასს 28-ში (*ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში*) განხილულ იქნეს კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში ბასს 28-ის პრინციპების განსაზღვრის მეშვეობით

პროექტის გეგმა

- წილობრივი მეთოდის გამოყენებასთან დაკავშირებული კითხვების იდენტიფიკაცია და გადაწყვეტილების მიღება თუ რომელ პრობლემაზე მოხდეს რეაგირება
- გამოყენებასთან დაკავშირებულ კითხვებზე რეაგირება ბასს 28-ის პრინციპების იდენტიფიკაციით და განმარტებით

მომდევნო ნაბიჯები

- გამოყენებასთან დაკავშირებული სხვა კითხვების განხილვის გაგრძელება, რომლებიც განისაზღვრა პროექტის ფარგლებში
- პროექტის მიმართულების განსაზღვრა

მომპოვებელი საქმიანობა

მიზანი

გაცილებით სასარგებლო ინფორმაციის მიწოდება საქმიანობის და ხარჯების შესახებ, რომლებიც გათვალისწინებულია ფასს 6-ით „მინერალური რესურსების მარაგის ძიება და შეფასება“ ინფორმაციის გამჭვირვალობის ამაღლების და შედარების გზით

პროექტის მოქმედების სფერო

- განვითარების მოთხოვნების ან მითითებების კვლევა კომპანიის მიერ ინფორმაციის გამჟღავნების გასაუმჯობესებლად საძიებო საქმიანობასთან დაკავშირებით და ხარჯებისა და საქმიანობის შეფასება
- ფასს 6-ის დროებითი სტატუსის გაუქმების შესწავლა

მომდევნო ნაბიჯები

პროექტის მიმართულების განსაზღვრა

საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოთა გაერთიანება

მიზანი

- ანგარიშგების მოთხოვნების შემუშავება პრაქტიკაში მრავალფეროვნების შესამცირებლად და გამჭვირვალობის ასამაღლებლად

პროექტის განახლება

- 2022 წლის მარტში ბასსს-მა სავარაუდოდ გადაწყვიტა არ გააფართოვოს პროექტის მოქმედების სფერო

მომდევნო ნაბიჯები

- განხილვები თავდაპირველად ფოკუსირებული იქნება გამოსაყენებელი შეფასების მეთოდის შერჩევაზე
- როგორ გამოვიყენოთ შეფასების მეთოდი და სხვა თემები, რომლებსაც შემდეგომში დასჭირდება განხილვა

გუდვილი და გაუფასურება - ძირითადი ინფორმაცია



მიზანი

სუბიექტების მიერ წარდგენილი ინფორმაციის გაუმჯობესება გონივრული დანახარჯით საწარმოთა გაერთიანების შესახებ, ფინანსური ანგარიშგებების მომხმარებლებისთვის



სამომავლო გზა

ბასსს ხელახლა განიხილავს თავის წინასწარ მოსაზრებებს განსახილველ დოკუმენტში და სავარაუდო გადაწყვეტილებებს მიიღებს:

- შეინარჩუნოს თუ შეცვალოს აღნიშნული წინასწარი მოსაზრებები გამოხმაურების ფონზე; და
- გააგრძელოს სტანდარტის განსაზღვრის პროცესი და გამოაქვეყნოს განსახილველი პროექტი



პროექტის ისტორია



გუდვილი და გაუფასურება - ვადები განსახილველი დოკუმენტის შემდეგ

ბასსს სავარაუდოდ იღებს გადაწყვეტილებას პროექტის მიზნის და მასშტაბის შენარჩუნებასთან დაკავშირებით

ბასსს სავარაუდოდ იღებს გადაწყვეტილებას გამჟღავნების მოთხოვნებთან დაკავშირებით (იხ. სლაიდი 16)




გუდვილი და გაუფასურება - სექტემბერი 2022 ბასსს-ის წინასწარი გადაწყვეტილებები

2022 წლის სექტემბერში ბასსს-მა სავარაუდოდ გადაწყვიტა:

- მოითხოვოს გარკვეული ინფორმაცია მხოლოდ საწარმოთა გაერთიანების გარკვეული ნაწილისთვის; და
- გაათავისუფლოს სუბიექტები გარკვეული ინფორმაციის გამჟღავნებისგან კონკრეტულ გარემოებებში. ქვევით მოცემული ცხრილი აჩვენებს კონკრეტულ ინფორმაციას თუ როგორ გამოიყენება თითოეული

ინფორმაციის სახე	გაგრძელდეს ამ წინასწარი მოსაზრების გამოყენება?	მოთხოვნილ იქნეს ინფორმაცია მხოლოდ გარკვეული ჯგუფისთვის?	რა სახის ინფორმაციის გამჟღავნებისგან გაათავისუფლდნენ სუბიექტები?
გამჟღავნების მიზნები	✓	N/A	N/A
საქმიანობის შესახებ ინფორმაცია:			
• სტრატეგიული დასაბუთება	✓	✗	✗
• მიზანი	✓	✓	✓
• მაჩვენებელი	✓	✓	✓
• სამიზნე	✓	✓	✓
• საქმიანობის ფაქტიური მაჩვენებლები მომდევნო წლებში	✓	✓	✗
რაოდენობრივი ინფორმაცია მოსალოდნელი სინერგიების შესახებ	✓	✗	✓

დანერგვის შემდგომი მიმოხილვა



დანერგვის შემდგომი მიმოხილვა

ახლახან
დასრულებული

ფასს 10-ის, ფასს 11-ის და ფასს 12-ის დანერგვის შემდგომი მიმოხილვა

ფასს 9-ის დანერგვის შემდგომი მიმოხილვა — კლასიფიკაცია და შეფასება

მიმდინარე

ფასს 9-ის დანერგვის შემდგომი მიმოხილვა— გაუფასურება

ფასს 15-ის დანერგვის შემდგომი მიმოხილვა *ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან*

ფასს 16-ის დანერგვის შემდგომი მიმოხილვა - *იჯარა*

სამომავლო

ფასს 9-ის დანერგვის შემდგომი მიმოხილვა— ჰეჯირების აღრიცხვა

ფასს 9-ის დანერგვის შემდგომი მიმოხილვა—კლასიფიკაცია და შეფასება

ზოგადი უკუკავშირი

- ზოგადი დადებითი უკუკავშირი – ფასს 9 მიიჩნევა ბასს 39-ის გაუმჯობესებად
- არ აქვს ადგილი არსებით პრობლემებს ძირითად პრინციპებთან დაკავშირებით, მაგრამ ზოგიერთი ასპექტი განხილულ უნდა იქნეს ბასსს-ის მიერ

საყურადღებო სფეროები

- გადასახდელი ძირი და პროცენტი
- ჩვეულებრივი აქციები და სხვა სრული შემოსავალი
- ამორტიზებული ღირებულება და ეფექტური საპროცენტო განაკვეთი
- სხვა საკითხები, როგორებიცაა ბიზნესმოდელის შეფასება და აღიარების შეწყვეტა

მომდევნო ნაბიჯები

- ინფორმაციის მოთხოვნაზე უკუკავშირის განხილვის გაგრძელება

ფასს 9-ის დანერგვის შემდგომი მიმოხილვა — გაუფასურება

მიზანი

- მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარების მოთხოვნის გამოყენების ეფექტის შეფასება დაინტერესებულ მხარეებზე ყველა ფინანსური ინსტრუმენტისთვის

პროექტის გეგმა

- ინფორმაციის მიწოდება დაინტერესებული მხარეების ყველა ჯგუფისთვის, შემმუშავებლების, აუდიტორების, ფინანსური ანგარიშგებების მომხმარებლების, მარეგულირებლებისა და სტანდარტების შემმუშავებლების ჩათვლით

მომდევნო ეტაპი

- ინფორმაციის მოთხოვნის გამოქვეყნება 2023 წლის 1-ელ ნახევარში

ფასს 15-ის დანერგვის შემდგომი მიმოხილვა

მიზანი

- შეფასების განხორციელება, აქვს თუ არა ფასს 15-ის გამოყენებას ეფექტი ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებზე, შემმუშავებლებზე, აუდიტორებზე და მარეგულირებლებზე ისე, როგორც განზრახული იყო სტანდარტის გამოცემისას

პროექტის გეგმა

- დაკავშირება შემმუშავებლებთან, ფინანსური ანგარიშგებების მომხმარებლებთან, აუდიტორებთან და სტანდარტების შემმუშავებლებთან
- აკადემიური და ფასს 15-ის დანერგვასთან დაკავშირებული სხვა კვლევის მიმოხილვა
- US FASB's PIR of ASC Topic 606 - თან დაკავშირებული მიგნებების მიმოხილვა, რომლებიც არსებითად დაახლოებულია ფასს 15-თან


მომდევნო ეტაპი

- ინფორმაციის მოთხოვნის გამოქვეყნება 2023 წლის 1-ელ ნახევარში

მიმოხილვა: სტანდარტების
შემუშავების პროექტები



მიმოხილვა: სტანდარტის შემუშავების პროექტები



კაპიტალის მახასიათებლების მქონე ფინანსური ინსტრუმენტები

მიზანი

- ინფორმაციის გაუმჯობესება, რომელსაც კომპანიები წარადგენენ თავიანთ ფინანსურ ანგარიშგებებში მათ მიერ გამოშვებული ფინანსური ინსტრუმენტების შესახებ
- გამოწვევებზე რეაგირება - ბასს 32: *ფინანსური ინსტრუმენტები: წარდგენა* - გამოყენებით

მიდგომა

- ბასს 32- ის კლასიფიკაციის პრინციპების განმარტება პრაქტიკულ პრობლემებზე რეაგირებისთვის (მაგ. ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაცია ემიტენტის საკუთარი კაპიტალის ინსტრუმენტებში)
- კლასიფიკაციის მითითებების უზრუნველყოფა და საილუსტრაციო მაგალითები
- წარდგენის და გამჟღავნების გაუმჯობესება

მომდევნო ეტაპი

- განსახილველი პროექტის გამოქვეყნება

რისკის დინამიური მართვა (რდმ)

მიზანი

- სააღრიცხვო მოდელის შემუშავება რისკის დინამიური მართვის შედეგის უკეთესად ასახვის მიზნით კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებებში

რდმ მოდელი

- რისკის შერბილების განზრახვა არის რისკის მიმდინარე ღია ნეტო პოზიცია, რომელსაც კომპანია დინამიურად მართავს წარმოებულების გამოყენებით
- რდმ კორექტირება აღიარებულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, რათა აჩვენოს, თუ რამდენად წარმატებით შეარბილა წარმოებულებმა, როგორც რეალური ღირებულების, ისე სუფთა საპროცენტო შემოსავლის ცვალებადობა რისკის შერბილების ღონისძიებიდან და მიაღწია სუბიექტის სამიზნე პროფილს

მომდევნო ეტაპი

- რდმ მოდელის შემდგომი განხილვა

მსს ფასს სტანდარტის მიმოხილვა

მიზანი

- მსს ფასს სტანდარტის განახლება სრულ ფასს-ში შეტანილი ცვლილებების ასახვის მიზნით (მეორე ყოვლისმომცველი მიმოხილვის ფარგლებში) სტანდარტის სიმარტივის შენარჩუნების პარალელურად

მიდგომა

- ‘შესაბამისობის მიდგომის’ გამოყენება მსს ფასს სტანდარტის განახლებისთვის
- შესაბამისობის მიდგომა იყენებს მცირე და საშუალო საწარმოთა რელევანტურობის, სიმარტივის და ობიექტური წარდგენის პრინციპებს, ხარჯების და სარგებლის შეფასების ჩათვლით, შესაძლო ცვლილებების განსასაზღვრად

მომდევნო ეტაპი

- განსახილველი პროექტი ღიაა კომენტარებისთვის 2023 წლის მარტამდე

ხელმძღვანელობის კომენტარები

მიზანი

- ფასს პრაქტიკის 1-ელი რეკომენდაციის დეტალური მიმოხილვა აღწერილობითი ანგარიშების ინოვაციების საფუძველზე და ფოკუსირება კაპიტალის ბაზრის საჭიროებებზე

უკუკავშირი

- პროექტის მხარდაჭერა, კერძოდ, ინვესტორების მხრიდან
- შეზღუდული გამონაკლისების მქონე წინადადებების ფართო მხარდაჭერა
- მოითხოვს თანამშრომლობას მგსსს-თან
- ზოგიერთი შემოთავაზება შემდგომი ინტეგრაციისთვის ანგარიშების სხვა საფუძვლებთან

მომდევნო ეტაპი

- პროექტის მიმართულების განხილვა

ინფორმაციის გამჟღავნების მიმოხილვა სამიზნე სტანდარტების დონეზე

მიზანი

ხელს უწყობს ინფორმაციის გამჟღავნების პრობლემაზე რეაგირებას :

- ბასსს-ის მიდგომის გაუმჯობესებით, ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნების შემუშავების მიმართ
- შემუშავებლებისთვის საშუალების მიცემით გააუმჯობესონ განმარტებითი შენიშვნების სარგებელი

პროექტის განახლება მომდევნო ეტაპი

2022 წლის ოქტომბერში, ბასსს-მა გადაწყვიტა:

- გამოიყენოს განსახილველ პროექტში შემოთავაზებული მეთოდები გამჟღავნების მოთხოვნების შესამუშავებლად
- გამოიყენოს შუალედური მიდგომა გამჟღავნების მოთხოვნების შესამუშავებლად
- დასკვნითი სახით არ მოამზადოს ფასს 13 და ფასს 19 -ის გამჟღავნების მოთხოვნების შემოთავაზებული ცვლილებები

- საბჭოს მითითებების და პროექტის რეზიუმეს გამოქვეყნება

შვილობილი საწარმოები საჯარო ანგარიშვალდებულების გარეშე: ინფორმაციის გამჟღავნება

მიზანი

- შესაფერისი შვილობილი საწარმოებისთვის ნების დართვა, გამოიყენონ ინფორმაციის გამჟღავნებასთან დაკავშირებული მოთხოვნები და აღიარების, შეფასებისა და წარდგენის მოთხოვნები ფასს სტანდარტში

მიმდინარე აქცენტი

- წინადადებების მიმოხილვა განსახილველ პროექტში ახალი ფასს სტანდარტის შესამუშავებლად

მომდევნო ეტაპი

- ფასს სტანდარტის გამოცემა

ძირითადი ფინანსური ანგარიშგებები

მიზანი

- ფინანსურ ანგარიშგებებში კომუნიკაციის გაუმჯობესება
- ფოკუსირება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წარმოდგენილ ინფორმაციაზე

შემოთავაზებები

- მოითხოვს დამატებით განსაზღვრულ ქვეჯამებს მოგება-ზარალის ანგარიშგებაში
- აძლიერებს მოთხოვნებს ინფორმაციის ჩასაშლელად
- მოითხოვს ინფორმაციის გამჟღავნებას ხელმძღვანელობის საქმიანობის ღონისძიებების შესახებ

მომდევნო ეტაპი

- ფასს სტანდარტის გამოცემა

სატარიფო რეგულირებას დაქვემდებარებული საქმიანობა

მიზანი

- ინფორმაციის უზრუნველყოფა კომპანიების ფინანსურ საქმიანობაზე და ფინანსურ პოზიციაზე რეგულირებადი შემოსავლის, ხარჯის, აქტივებისა და ვალდებულებების გავლენის შესახებ


შემოთავაზებები

- მოითხოვს რეგულირებადი აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლის და ხარჯების აღიარებას
- ასახავს საქონლის და მომსახურების ანაზღაურებას ფინანსურ საქმიანობაში იმ პერიოდისთვის, როდესაც მოხდა საქონლის და მომსახურების მიწოდება
- აფასებს რეგულირებად აქტივებს და ვალდებულებებს ფულად ნაკადებზე დამყარებული მეთოდით


მომდევნო ეტაპი

- ფასს სტანდარტის გამოცემა

ტექნიკური მომსახურების პროექტები



მიმოხილვა: ტექნიკური მომსახურების პროექტები



ანარიცხები —სამიზნე გაუმჯობესება

მიზანი

- წინადადებების შემუშავება ბასს 37-ის (*ანარიცხები, პირობითი აქტივები და პირობითი ვალდებულებები*) სამი სამიზნე ცვლილებისთვის

ყურადღების საგანი

- მოთხოვნების შესაბამისობაში მოყვანა ვალდებულებების იდენტიფიკაციისთვის *კონცეპტუალური საფუძვლებით*
- დაზუსტება იმისა, თუ რომელი ხარჯები უნდა იქნეს გათვალისწინებული ანარიცხების შესაფასებლად
- დაკონკრეტება იმისა, დისკონტის განაკვეთები უნდა ასახავდეს თუ არა კომპანიის საკუთარ საკრედიტო რისკს

მომდევნო ეტაპი

- გადაწყვეტილება პროექტის მიმართულებასთან დაკავშირებით

ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციის და შეფასების ცვლილება

მიზანი

- მცირემასშტაბიანი ცვლილებები ფასს 9-ის კლასიფიკაციის და შეფასების მოთხოვნების დანერგვის შემდგომი მიმოხილვის საპასუხოდ და ფასს 7-ის გამჟღავნების მოთხოვნები

ყურადღების საგანი

- ფინანსური აქტივების სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლები
- ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა, რომელთა ანგარიშსწორება წარმოებს ელექტრონული ფულადი ტრანსფერების საშუალებით
- გამჟღავნების მოთხოვნები წილობრივ ინსტრუმენტებთან დაკავშირებით, რომელთათვისაც რეალური ღირებულების ცვლილება წარმოდგენილია სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში

მომდევნო ეტაპი

- განსახილველი პროექტის გამოქვეყნება

ურთიერთგაცვლადობის არარსებობა

მიზანი

- ინფორმაციის სარგებიანობის გაუმჯობესება თანმიმდევრული მიდგომის მოთხოვნით, იმის განსასაზღვრად არის თუ არა ვალუტა გაცვლადი სხვა ვალუტაზე და ასეთის არსებობის შემთხვევაში, გამოსაყენებელი გაცვლითი კურსი

შემოთავაზებები

- მითითება თუ როდის არ აქვს ადგილი გაცვლადობას და როგორ განხორციელდეს ეს შეფასება
- "სპოტ" გაცვლის კურსის შეფასება როცა ადგილი არ აქვს გაცვლადობას
- გამჟღავნება თუ რა გავლენას ახდენს გაცვლადობის არარსებობა ფინანსურ საქმიანობაზე, ფინანსურ პოზიციაზე და ფულად ნაკადებზე

მომდევნო ეტაპი

- პროექტის მიმართულების განსაზღვრა

ფინანსური შეთანხმებები მომწოდებლებთან

მიზანი

- ინფორმაციის უზრუნველყოფა, რომელიც საშუალებას აძლევს ინვესტორებს შეაფასონ მომწოდებლებთან გაფორმებული ფინანსური შეთანხმებების ზემოქმედება კომპანიის ვალდებულებებზე და ფულად ნაკადებზე


შემოთავაზებები

- შეთანხმებების აღწერა, რომლისთვისაც საჭირო იქნება შემოთავაზებული ინფორმაციის გამჟღავნება
- ხარისხობრივი და რაოდენობრივი გამჟღავნების მოთხოვნების დამატება
- საჭირო ინფორმაციის გამჟღავნების ხაზგასმა ლიკვიდურობის რისკის და რისკის მართვის და ფინანსური ვალდებულებების არაფულადი ცვლილებების შესახებ

მომდევნო ეტაპი

- პროექტის მიმართულების განსაზღვრა

ახალი მოთხოვნები



რა არის მოთხოვნილი და როდისთვის?


1-ელი იანვარი, 2023


- ფასს 17 სადაზღვევო ხელშეკრულებები
- სააღრიცხვო შეფასების განსაზღვრება
- სააღრიცხვო პოლიტიკის გამჟღავნება
- ერთჯერადი გარიგებიდან გამომდინარე აქტივებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებული გადავადებული გადასახადი (ბასს 12-ის ცვლილება)

1-ელი იანვარი, 2024

- ვალდებულებების მოკლე და გრძელვადიან ვალდებულებებად კლასიფიკაცია (ბასს 1-ის ცვლილება)
- იჯარის ვალდებულება გაყიდვისას და უკუიჯარა (ბასს 16-ის ცვლილება)
- გრძელვადიანი ვალდებულებები პირობებით (ბასს 1-ის ცვლილება)

ფასს 17 სადაზღვევო ხელშეკრულებები

 მეტად სასარგებლო და გამჭვირვალე ინფორმაცია

 უკეთესი ინფორმაცია მომგებიანობის შესახებ

- მოითხოვს თანმიმდევრულ აღრიცხვას ყველა სადაზღვევო ხელშეკრულებისთვის
- მიმდინარე შეფასების მოდელის საფუძველზე
- იძლევა სასარგებლო ინფორმაციას სადაზღვევო ხელშეკრულებების მომგებიანობის შესახებ
- წარამოგვიდგენს შესადარის მონაცემებს კომპანიების მასშტაბით
- ეხმარება ინვესტორებს ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობების შესრულებაში



ამოქმედების
თარიღი

ყოველწლიური ანგარიშგების პერიოდები იწყება 2023 წლის
1-ელ იანვარს ან ამ თარიღის შემდგომ

სააღრიცხვო შეფასების განსაზღვრება

იდენტიფიცირებული პრობლემა

- კომპანიებს შეიძლება გაუჭირდეთ სააღრიცხვო პოლიტიკის და სააღრიცხვო შეფასების ერთმანეთისგან განსხვავება, განსაკუთრებით როცა ის უკავშირდება შეფასების მეთოდის ცვლილებას

ცვლილებები

- "სააღრიცხვო შეფასების" განსაზღვრების შემოღება
- განმარტებების უზრუნველყოფა, მაგალითად
 - შეფასების ტექნიკა გამოიყენება სააღრიცხვო შეფასების შესამუშავებლად
 - სააღრიცხვო შეფასების ცვლილება, რომელიც გამომდინარეობს ახალი ინფორმაციიდან ან ახალი მოვლენებიდან არ არის შეცდომის გასწორება



ამოქმედების
თარიღი

ყოველწლიური ანგარიშგების პერიოდები იწყება 2023 წლის
1-ელ იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ

სააღრიცხვო პოლიტიკის განსაზღვრება

იდენტიფიცირებული პრობლემა

- მომხმარებლები აღნიშნავენ, რომ ინფორმაციის გამჟღავნება სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ხშირად არ არის სასარგებლო
- დაინტერესებულ მხარეთა მოსაზრებები განსხვავდება „მნიშვნელოვან“ სააღრიცხვო პოლიტიკასთან დაკავშირებით, რომელიც მოთხოვნილია ბასს 1-ით *ფინანსური ანგარიშგებების წარდგენა*

ცვლილებები

- ბასს 1-ის ცვლილება კომპანიებისგან მოითხოვს მათი სააღრიცხვო პოლიტიკის არსებითი ინფორმაციის და არა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის გამჟღავნებას
- დაზუსტება, რომ სააღრიცხვო პოლიტიკასთან დაკავშირებული ყველა ინფორმაცია, რომელიც ეხება არსებით გარიგებებს, სხვა მოვლენებს ან პირობებს, არ არის არსებითი ფინანსური ანგარიშგებებისთვის
- მითითებების და მაგალითების დამატება არსებითობის შესახებ პრაქტიკის რეკომენდაციებზე, რომლებიც ახსნის, თუ როგორ იქნეს გამოყენებული არსებითობის პროცესი სააღრიცხვო პოლიტიკის არსებითი ინფორმაციის იდენტიფიკაციისთვის



ამოქმედების
თარიღი

ყოველწლიური ანგარიშგების პერიოდები იწყება 2023 წლის 1-ლ იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ

ბასს 12-ის ცვლილებები

მიზანი

- გადავადებული გადასახადის აღრიცხვის განმარტება გარიგებებისთვის, რომლისთვისაც კომპანია თავდაპირველი აღიარებისას აღიარებს როგორც აქტივებს, ისე ვალდებულებებს, როგორებიცაა იჯარა და ექსპლუატაციიდან ამოღების ვალდებულებები

ცვლილებები

- ბასს 12-ში აღიარებისგან გათავისუფლების მოქმედების სფეროს შევიწროვება ისე, რომ ის არ ეხებოდეს გარიგებებს, რომლებიც წარმოშობს დასაბეგრი და გამოსაქვითი დროებითი განსხვავებების თანაბარ თანხებს
- შედეგად მოჰყვება ყველა სუბიექტის მიერ იჯარის და სხვა გარიგებების გადავადებული გადასახადის აღიარება ცვლილებების ფარგლებში, ანგარიშგების მრავალფეროვნების შემცირებით



ამოქმედების
თარიღი

ყოველწლიური ანგარიშგების პერიოდები იწყება 2023 წლის
1-ელ იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ

ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლე ან გრძელვადიან ვალდებულებებად

ვალდებულება კლასიფიცირდება გრძელვადიანად მხოლოდ მაშინ თუ კომპანიას უფლება აქვს გადაავადოს ანგარიშსწორება საანგარიშო პერიოდიდან 12 თვით მაინც

→ ბასს 1-ის ცვლილება განმარტავს ამ კრიტერიუმს

ზოგადი განმარტებები

- ანგარიშსწორების გადავადების უფლება უნდა არსებობდეს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს*
- კლასიფიკაციაზე გავლენას არ ახდენს მოლოდინები გამოიყენებს *თუ არა კომპანია* თავის უფლებას

განმარტებები რომლებიც გავლენას ახდენს კონვერტირებად ობლიგაციებზე

- კონტრაქტის კონვერტაციის ვარიანტი არ განიხილება კლასიფიკაციის შეფასებისას, თუ აღიარებულია ცალკე, როგორც რთული ფინანსური ინსტრუმენტის წილობრივი კომპონენტი
- ვალდებულების კონვერტაციის ნებისმიერი სხვა აუცილებლობა განიხილება კლასიფიკაციის შეფასებისას -ე.ი. კონვერტაცია განიხილება ანგარიშსწორებად



ამოქმედების თარიღი

ყოველწლიური ანგარიშგების პერიოდი იწყება 2024 წლის 1-ელ იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ, ადრეული გამოყენების დაშვებით .

* გრძელვადიანი ვალდებულებები პირობებით მოიცავს შემდგომ ცვლილებებს პირობების მქონე ვალდებულებების კლასიფიკაციის შესახებ

იჯარის ვალდებულება გაყიდვისას და უკუიჯარა

მიზანი

- შეფასების მოთხოვნების გაუმჯობესება გაყიდვისთვის და უკუიჯარის გარიგებებისთვის - კერძოდ რომლებიც ეხება ცვლად გადახდებს

ფასს 16 -ის ცვლილებები

- შემდგომი შეფასების მოთხოვნების დაკონკრეტება იჯარის ვალდებულებისთვის გაყიდვის დროს და უკუიჯარის გარიგება
- ბასს 8-ის ცვლილებების რეტროსპექტული გამოყენების მოთხოვნა



ამოქმედების
თარიღი

ყოველწლიური ანგარიშგების პერიოდი იწყება 2024 წლის 1-ელ იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ, ადრეული გამოყენების დაშვებით .

გრძელვადიანი ვალდებულებები პირობებით

მიზანი

- ინფორმაციის გაუმჯობესება პირობების მქონე ვალდებულებების შესახებ

ბასს 1-ის ცვლილებები

- დაკონკრეტება იმისა, რომ პირობები, რომელიც სუბიექტმა უნდა შეასრულოს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ, გავლენას არ ახდენს ვალდებულების მოკლე ან გრძელვადიან ვალდებულებად კლასიფიკაციაზე, ანგარიშგების თარიღის მდგომარეობით
- გამჟღავნების მოთხოვნების დამატება პირობებს დაქვემდებარებული გრძელვადიანი ვალდებულებებისთვის



ამოქმედების
თარიღი

ყოველწლიური ანგარიშგების პერიოდი იწყება 2024 წლის 1-ელ იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ, ადრეული გამოყენების დაშვებით .

სტრატეგია და მართვის პროექტები

დღის წესრიგთან დაკავშირებული მესამე კონსულტაცია

კვლევითი პროექტები



არამატერიალური აქტივები — ამ პროექტის მიზანი იქნება ბასს 38 -ის *არამატერიალური აქტივები* მიმოხილვა.



ფულადი ნაკადების ანგარიშგება და დაკავშირებული საკითხები — ასეთი პროექტის კვლევითი ფაზის ფარგლებში ბასსს განიხილავს პროექტის მიზანი უნდა იყოს თუ არა ფასს 7 -ის (ფულადი ნაკადების ანგარიშგება) *სრულყოფილი მიმოხილვა ან უფრო მეტად მიზანმიმართული გაუმჯობესების განხორციელება*

ტექნიკური მომსახურების პროექტის შემუშავება



კლიმატთან დაკავშირებული რისკები ფინანსურ ანგარიშგებებში - ეს პროექტი განიხილავს რა სახის მცირემასშტაბიანი ღონისძიებები შეიძლება იყოს საჭირო კლიმატთან დაკავშირებული რისკების აღსარიცხად ფინანსურ ანგარიშგებებში

რეზერვი (თუ დამატებითი სიმძლავრე გახდება ხელმისაწვდომი)




ოპერაციული სეგმენტები



დაბინძურების ფულადი შეფასების მექანიზმები

ფასს ინტერპრეტაციების
კომიტეტის მიმდინარე
გადაწყვეტილებები და სხვა
სამუშაო



დღის წესრიგთან დაკავშირებული ბოლოდროინდელი გადაწყვეტილებები და კომიტეტის სხვა სამუშაო

- 1 დღის წესრიგის გადაწყვეტილება: მოთხოვნამდე დეპოზიტების გამოყენების შეზღუდვა *აპრილი 2022*
- 2 დღის წესრიგის გადაწყვეტილება: მარწმუნებელი და რწმუნებული: პროგრამული უზრუნველყოფის გადამყიდველი *მაისი 2022*
- 3 დღის წესრიგის გადაწყვეტილება: უარყოფითი ქულები მაღალტოქსიკური გამონაბოლქვის მქონე სატრანსპორტო საშუალებებისთვის *ივლისი 2022*
- 4 დღის წესრიგის გადაწყვეტილება: მეიჯარის მიერ საიჯარო გადასახადის პატიება *ოქტ. 2022*
- 5 ელექტრონული გადარიცხვით მიღებული ფულადი სახსრები ფინანსური აქტივის სანაცვლო ანგარიშსწორების სახით

დღის წესრიგის სხვა გადაწყვეტილებების ნიმუში, რომელიც გამოქვეყნდა 2022 წელს:

სადაზღვევო ანაზღაურების გადაცემა ანუიტეტური ხელშეკრულებების ნაკრების ფარგლებში
ივლისი 2022

სადაზღვევო ხელშეკრულებების მულტისავალუტო ჯგუფები
ოქტ. 2022

SPAC: შესყიდვისას გარანტიების აღრიცხვა
ოქტ. 2022

1 მოთხოვნამდე დეპოზიტები შეზღუდვებით (ბასს 7)

შესაძლებელია თუ არა გამოყენების შეზღუდვების მქონე მოთხოვნამდე დეპოზიტი კლასიფიცირებულ იქნეს როგორც ფული ან ფულის ეკვივალენტი?



სუბიექტი ფლობს მოთხოვნამდე დეპოზიტს, რომლის ვადები და პირობები სუბიექტს არ უშლის ხელს მისი შეფასება მოთხოვნისას განახორციელოს



სუბიექტს აქვს სახელშეკრულებო ვალდებულება მესამე მხარესთან მოთხოვნამდე დეპოზიტის ანგარიშზე არსებული თანხის გამოყენებასთან დაკავშირებით მხოლოდ კონკრეტული მიზნებისთვის

ანალიზი

- ბასს 7 განსაზღვრავს ფულად სახსრებს განცხადებით, რომ "ის შედგება ხელმისაწვდომი ფულადი სახსრების და მოთხოვნამდე დეპოზიტებისგან" და არ შეიცავს სხვა მოთხოვნებს იმასთან დაკავშირებით, წარმოადგენს თუ არა ეს მუხლი ფულად სახსრებს
- ბასს 7 და ბასს 1 მიუთითებენ რომ ფულადი სახსრები შეიძლება დაექვემდებაროს შეზღუდვებს

დასკვნა

შეზღუდვები არ ცვლის დეპოზიტის ბუნებას. სუბიექტს შეუძლია მოთხოვნამდე დეპოზიტზე არსებული ფულადი სახსრების შეფასება. ამდენად, დეპოზიტი კლასიფიცირდება როგორც ფულადი სახსრები. გამოიყენება ბასს1-ით, ბასს 7-ით და ფასს 7-ით განსაზღვრული გამჟღავნების და წარდგენის მოთხოვნები.

2

მარწმუნებელი და რწმუნებული: პროგრამული უზრუნველყოფის გადამყიდველი (ფასს 15)

პროგრამული უზრუნველყოფის გადამყიდველი არის რწმუნებული თუ მარწმუნებელი რომელიც ფასს 15-ს იყენებს?



- გადამყიდველს აქვს სადისტრიბუციო ხელშეკრულება პროგრამული უზრუნველყოფის მწარმოებელთან. გადამყიდველი:
 - აწვდის გაყიდვამდე რჩევას მომხმარებელს და აქვს დისკრეტია ფასთან დაკავშირებით
 - განათავსებს შეკვეთას ნებისმიერ ლიცენზიაზე, რომელიც შეძენილია მომხმარებლის მიერ მისი სახელით
 - პასუხისმგებელია ნებისმიერ მიუღებელ ლიცენზიაზე არასწორი რჩევის გამო

ანალიზი

- B34–B38 პუნქტები განსაზღვრავს საფუძვლებს იმის გასარკვევად, სუბიექტი მარწმუნებელია თუ რწმუნებული.
- B34A სუბიექტისგან მოითხოვს კონკრეტული საქონლის ან სერვისების იდენტიფიკაციას და აფასებს, აკონტროლებს თუ არა მათ მომხმარებლისთვის გადაცემამდე.

დასკვნა

- გაყიდვის წინა ინფორმაცია არ არის მკაფიო დაპირება კონტრაქტში მომხმარებელთან; ლიცენზიები არის კონკრეტული საქონელი რომელიც მიწოდებულ უნდა იქნეს მომხმარებლისთვის.
- თუ არ არის ცხადი, გადამყიდველი მოიპოვებს თუ არა კონტროლს ლიცენზიებზე მომხმარებლისთვის გადამყიდველი განიხილავს B37 პუნქტის ინდიკატორებს.
- საკითხი, გადამყიდველი არის მარწმუნებელი თუ რწმუნებული, დამოკიდებულია კონკრეტულ ფაქტებზე და გარემოებებზე. გამოიყენება ბასს 1-ის და ფასს 15-ის გამჟღავნების მოთხოვნები.

3

უარყოფითი ქულები მაღალტოქსიკური გამონაბოლქვის მქონე სატრანსპორტო საშუალებებისთვის(ბასს 37)

ხელს უწყობს თუ არა გამონაბოლქვის შემცირების ღონისძიებები ვალდებულებების წარმოქმნას, რომლებიც აკმაყოფილებს ბასს 37-ის განსაზღვრებას ?



სახელმწიფოს ღონისძიებები სუბიექტებისგან მოითხოვს ისეთი სატრანსპორტო საშუალებების წარმოებას და იმპორტს, რომელთა გამონაბოლქვის საშუალო მაჩვენებელი სახელმწიფოს მიერ განსაზღვრულ სამიზნე მაჩვენებელზე დაბალია. სუბიექტები იღებენ დადებით ან უარყოფით ქულებს გამომდინარე იქიდან თუ როგორ ასრულებენ სამიზნე მაჩვენებლებს



სუბიექტი, რომელიც იღებს უარყოფით ქულებს უნდა ცდილობდეს მათ ჩანაცვლებას დადებით ქულებით. სახელმწიფომ შეიძლება დააკისროს სანქციები სუბიექტებს რომლებიც ამას ვერ შეძლებენ.

ანალიზი

- ბასს 37-ის მე-10 პუნქტი განსაზღვრავს:
- ვალდებულება არის საწარმოს მიმდინარე ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნა წარსული მოვლენების შედეგად და რომლის დასაფარად მოსალოდნელია ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა.
 - მავალდებულებელი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც წარმოქმნის იურიდიულ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რის შედეგადაც საწარმოს არა აქვს ამ ვალდებულების დაფარვის გარდა სხვა რეალური ალტერნატივა

3 უარყოფითი ქულები მაღალტოქსიკური გამონაბოლქვის მქონე სატრანსპორტო საშუალებებისთვის (IAS 37)

დასკვნა

კომიტეტმა დაასკვნა:

- ვალდებულების შესრულებას უარყოფითი ქულების შესაცვლელად შედეგად მოჰყვება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა
- აქტივობა, რომელიც წარმოქმნის მიმდინარე ვალდებულებას არის სატრანსპორტო საშუალების წარმოება ან იმპორტი, რომლის გამონაბოლქვი არის სახელმწიფოს მიერ განსაზღვრულ სამიზნე მაჩვენებელზე მაღალი
- სუბიექტს ექნება კანონით აღსრულებადი სამართლებრივი ვალდებულება, თუ შესაძლო სანქციები შეუსრულებლობისთვის არ არსებობს რეალისტური ალტერნატივა მოცემული სუბიექტისთვის

4 საიჯარო გადახდების პატიება (ფასს 9 და ფასს 16)

როგორ აღრიცხავს მეიჯარე საიჯარო გადახდის პატიებას საიჯარო ქირის დათმობაში?



მეიჯარე თანახმაა დათმოს საიჯარო ქირა საოპერაციო იჯარაზე



მეიჯარე სამართლებრივად ათავისუფლებს მოიჯარეს კონკრეტული საიჯარო გადახდების განხორციელების ვალდებულებისგან, რომელიც აღიარებულია როგორც მოთხოვნა საოპერაციო იჯარაზე. სხვა ცვლილება არ განხორციელებულა

კითხვები

1. როგორ იყენებს მეიჯარე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელს საიჯარო მოთხოვნის მიმართ იჯარის დათმობამდე?
2. იყენებს თუ არა მეიჯარე ფასს 9-ის აღიარების შეწყვეტის მოთხოვნებს ან ფასს 16-ის იჯარის მოდიფიკაციის მოთხოვნებს?

4 საიჯარო გადახდების პატიება (ფასს 9 და ფასს 16)

კითხვა 1—მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელის გამოყენება

ანალიზი

- მეიჯარის მიერ აღიარებული მისაღები საოპერაციო იჯარა ექვემდებარება ფასს 9-ის გაუფასურების მოთხოვნებს (ფასს 9, პუნქტი 2.1(ბ))
- ფასს 9 საკრედიტო ზარალს განსაზღვრავს როგორც "სხვაობას ხელშეკრულების შესაბამისად სუბიექტის მიერ მისაღებ ყველა სახელშეკრულებო ფულად ნაკადსა და ყველა იმ ფულად ნაკადს შორის რომლის მიღებასაც ელის სუბიექტი ..."
- მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელი ასახავს (ა) მიუკერძოებელ და მოგებით შეწონილ თანხას, რომელიც განისაზღვრება შესაძლო შედეგების სპექტრის შეფასებით და (ბ) დასაბუთებულ ინფორმაციას წარსული მოვლენების, მიმდინარე მდგომარეობის და მომავალი ეკონომიკური პირობების პროგნოზის შესახებ (ფასს 9, პუნქტი 5.5.17)

დასკვნა

მეიჯარე ითვალისწინებს თავის მოლოდინს საიჯარო გადახდის პატიებასთან დაკავშირებით, რომელიც აღიარებულია როგორც მისაღები საიჯარო გადახდის ნაწილი მოცემული დებიტორული დავალიანებისთვის, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელის შეფასებისას.

4 საიჯარო გადახდების პატიება (ფასს 9 და ფასს 16)


კითხვა 2—საიჯარო ქირის დათმობის აღრიცხვა

	ფასს 9	ფასს 16
ანალიზი	<ul style="list-style-type: none"> • მეიჯარის მიერ აღიარებული მისაღები საოპერაციო იჯარა ექვემდებარება ფასს 9-ის მიხედვით აღიარების შეწყვეტის მოთხოვნას (პ.2.1(ბ)) • სუბიექტი წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როცა ფინანსური აქტივის დასრულებიდან გამომდინარე წყდება სახელშეკრულებო უფლებები ფულადი ნაკადების მიღებაზე' (პ. 3.2.3(ა)) 	<ul style="list-style-type: none"> • საიჯარო ქირის დათმობა აკმაყოფილებს იჯარის მოდიფიკაციის განსაზღვრებას ფასს 16-ში - მეიჯარე აღრიცხავს მოდიფიცირებულ იჯარას როგორც ახალს (პ. 87) • საიჯარო გადახდები, რომლებიც აღიარებულია როგორც მისაღები იჯარა, არ არის დარიცხული საიჯარო გადახდა და ამგვარად არ განიხილება როგორც გადახდა ახალი იჯარისთვის.
დასკვნა	<ul style="list-style-type: none"> • ფასს 9 ეხება საიჯარო გადახდის პატიებას, რომელიც შეტანილია მისაღებ იჯარაში. ფასს 16 ეხება საიჯარო გადახდის პატიებას, რომელიც არ არის შეტანილი მისაღებ იჯარაში. 	

5 ელექტრონული გადახდა (ფასს 9)

შეუძლია თუ არა სუბიექტს აღიაროს ელექტრონული გადარიცხვის დღეს მიღებული ფულადი სახსრები (ანუ სანამ გადარიცხვა განხორციელდება) ?

 სუბიექტი იღებს ფულად სახსრებს როგორც დებიტორული დავალიანების ანგარიშსწორებას ელექტრონული გადარიცხვის მეშვეობით

 ელექტრონული გადარიცხვის სისტემა ანგარიშსწორების ავტომატიზებული პროცესია, რომელსაც სამი სამუშაო დღე სჭირდება ფულადი გადარიცხვის განსახორციელებლად

ანალიზი

- ფასს 9-ის 3.1.2 პუნქტი —რომელიც განსაზღვრავს მოთხოვნებს ფინანსური აქტივის რეგულარული შეძენისთვის—არ არის გამოსადეგი
- გამოიყენება აღიარების და აღიარების შეწყვეტის ზოგადი მოთხოვნები 3.1.1 და ფასს 9-ის 3.2.3(ა) პუნქტების შესაბამისად

მომდევნო ნაბიჯები

- ბასსს იკვლევს მცირემასშტაბიანი სტანდარტის შესაძლო შემუშავებას

გამოგვევით ონლაინ

 [ifrs.org](https://www.ifrs.org)

 [@IFRSFoundation](https://twitter.com/IFRSFoundation)

 [IFRS Foundation](https://www.youtube.com/IFRSFoundation)

 [International Accounting
Standards Board](https://www.iasb.org)